



საჩუქრუბრძოლო წერილი



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

სარეკომენდაციო წერილი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის
მეურნეობის სამინისტროს
(პროგრამული კოდი: 07 00) 2017 წლის 31
დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო
პერიოდის კონსოლიდირებული ანგარიშგების
ფინანსური აუდიტის ანგარიშის შედეგების
შესახებ

სარჩევი

1. პირობითი მოსაზრების საფუძვლები.....	3
1.1 არაფინანსური აქტივები	3
სხვა საკითხთა აზიჯი	4
2.1 შრომის ანაზღაურება.....	4
2.2 პროგრამული ბიუჯეტი	4

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2017 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი და გასცა პირობითი მოსაზრება, შემდეგ გარემოებათა გამო:

1. პირობითი მოსაზრების საფუძვლები

1.1 არაფინანსური აქტივები

გამოვლენილი გარემოებები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არაფინანსური აქტივები 154,311 ლარით, უზუსტოდ არის წარმოდგენილი, რაც განპირობებულია შემდეგი გარემოებებით:

- 2017 წელს ა(ა)იპ - აგროსერვის ცენტრის მიერ 81,000 ლარის შესყიდული მასალებით დამონტაჟდა წყლის სარწყავი სისტემა. საბუღალტრო მონაცემებითა და ინვენტარიზაციის მასალებით, გამოყენებული საქონელი არ არის ჩამოწერილი, ასევე არ არის აღრიცხული ცალკე აქტივად წყლის სარწყავი სისტემა, რითაც ჯამში ორგანიზაციის ბალანსში 81,000 ლარით შემცირებულია „გაყვანილობის სისტემების“ ანგარიში და გაზრდილია „სხვა დანარჩენი მატერიალური მარაგების“ და „სხვა მანქანა - დანადგარების და ინვენტარის“ ანგარიშები;
- ა(ა)იპ - აგროსერვის ცენტრის ბალანსში არასწორად არის აღრიცხული 36,678 ლარის ღირებულების სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, კერძოდ: აღნიშნული თანხით შემცირებულად არის წარმოდგენილი „მიწა“, ხოლო გაზრდილია „დაუმთავრებელი წარმოების“ ანგარიში;
- ა(ა)იპ - აგროპროექტების მართვის ცენტრის მიერ ორგანიზაციის ბალანსში არ იყო ასახული უსასყიდლოდ გადმოცემული 17,349 ლარის ღირებულების აქტივები, რის შედეგად შემცირებულად არის წარმოდგენილი ბალანსში „დაუმთავრებელი ძირითადი აქტივების“ ანგარიში;
- ა(ა)იპ - აგროსერვის ცენტრის ანგარიშგებაში ძირითადი კაპიტალის მოხმარება (ცვეთა) 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 19,284 ლარით არასწორად, შემცირებულად არის ასახული.

აღნიშნული უზუსტობები სამინისტროს სისტემაში შემავალი ორგანიზაციების პასუხისმგებელი პირების მიერ დაშვებული შეცდომითაა გამოწვეული. შესაბამისად, სამინისტროს 2017 წლის კონსოლიდირებული ბალანსი სრულფასოვნად არ ასახავს არაფინანსური აქტივების რეალურ ღირებულებას.

რეკომენდაცია N1.

აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროს

ა(ა)იპ - აგროსერვის ცენტრს

ა(ა)იპ - აგროპროექტების მართვის ცენტრს

ბუღალტრული კორექტირების შედეგად უზრუნველყოფილ იქნეს ფინანსურ ანგარიშგებებში არაფინანსური აქტივების შესახებ ზუსტი ინფორმაციის წარდგენა. ამასთანავე, შეიქმნას და დაინერგოს შიდა კონტროლის სისტემა (შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მითითებით), რომელიც სათანადო ღონისძიებების საფუძველზე უზრუნველყოფს არაფინანსური აქტივების ზუსტ აღრიცხვას.

სხვა საკითხთა აზიზი

2.1 შრომის ანაზღაურება

გამოვლენილი გარემოებები

კლასიფიკაციის მიხედვით, დანამატის კატეგორია მოიცავს არასამუშაო საათებში, ღამის ცვლაში, სადღესასწაულო და დასვენების დღეებში მუშაობისათვის განკუთვნილ დამატებით საზღაურს და კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნებისმიერ სხვა დანამატს, მათ შორის, დანამატს განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვისათვის. დანამატების გაცემის არსებული პრაქტიკა ვერ უზრუნველყოფდა შრომის ანაზღაურების სათანადო გამჭვირვალობას, ვინაიდან ბრძანებები ზოგადია და არ არის სათანადოდ დასაბუთებული.

რეკომენდაცია N2.

აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროს

შემუშავდეს და პრაქტიკაში დაინერგოს თანამშრომელთა მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს დანამატის სახით გაცემული სახსრების გამჭვირვალობასა და დასაბუთებას.

2.2 პროგრამული ბიუჯეტი

გამოვლენილი გარემოებები

„სოფლის მეურნეობის განვითარება მაღალტექნოლოგიური ტექნოლოგიების დანერგვის გზით“ პროგრამაში აუთვისებელი დარჩა 893,948 ლარი, რომელიც განპირობებულია ქვეპროგრამების ფარგლებში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შედეგად დარჩენილი ეკონომიით, მაგალითად: ზღის მობილური შემასხურებელი (შესაწამლი) აპარატის შესაძენად გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის თანახმად, შესყიდვის სავარაუდო ღირებულება განსაზღვრული იყო 1,282,480 ლარით, ხოლო ელექტრონული ვაჭრობის შედეგად, სადაც მონაწილეობდა 20 პრეტენდენტი, ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრა 629,983 ლარით. აღნიშნული შესყიდვის შედეგად, 652,497 ლარით ღირებულების შემცირება განპირობებულია შესყიდვების არასათანადო დაგეგმვით და ბაზრის კვლევის პროცესში არსებული ხარვეზებით, რომელიც თავის მხრივ, წარმოშობს შესყიდვების არაეკონომიურად განხორციელების რისკებს.

რეკომენდაცია N3.

აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროს

ა(ა)იპ - აგროპროექტების მართვის ცენტრს

სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების პროცესში, შესყიდვების დაგეგმვისას, განხორცილდეს ბაზრის სათანადო კვლევა, რომელიც შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების სწორად განსაზღვრას და შესაბამისად, ფულადი სახსრების რაციონალურ ხარჯვას უზრუნველყოფს.

